ა(ა)იპ „დივაინ ჩაილდ ფაუნდეიშენ ოფ ჯორჯია“

DCFG

**სარჩევი**


1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის ................................................... 2

2. ხელშეკრულების პროექტი .........................................................................7

## ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის

### შემსყიდველი ორგანიზაცია ა(ა)იპ „დივაინ ჩაილდ ფაუნდეიშენ ოფ ჯორჯია“ .

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 79200,00 ლარი დღგ-ს გათვალისწინებით. (სამოცდაცხრამეტი ათას ორასი)

1. შესყიდვის ობიექტის დასახელება

1.1. შესყიდვის საგანია ქ. თბილისში ბეჟანიშვილის შესახვევი #8 -ში მდებარე შენობის სარემონტო სამუშაოების შესყიდვა.

1.2. ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების ჩამონათვალი და მოცულობები მოცემულია თანდართულ დეფექტურ აქტში.

2. სამუშაოს შესრულების ვადები.

2.1. ტენდერში გამარჯვებულმა შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში.

3. მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი.

3.1. მიმწოდებლის მიერ სამუშაოთა წარმოების საფუძველია „სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკი", რომელიც წარმოადგენს სატენდერო წინადადების აუცილებელ ნაწილს და შედგენილია ააიპ „დივაინ ჩაილდ ფაუნდეიშენ ოფ ჯორჯია“-ს მოთხოვნათა შესაბამისად.

3.2. პროექტის ხელმძღვანელი, რომელსაც განსაზღვრავს მიმწოდებელი სატენდერო წინადადებაში, უზრუნველყოფს ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკისა და ხარისხის მოთხოვნების შესრულებას;

3.3. იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველთან შეთანხმებული სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკი დარღვეულია უწყვეტად 10 დ ღის მანძილზე, ან შემსყიდველის მოთხოვნის მიუხედავად, პროექტის ხელმძღვანელი არ ცხადდება სამშენებლო მოდენაზე უწყვეტად 2 კალენდარული დღის მანძილზე, შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს პროექტის ხელმძღვანელის შეცვლა, რაც უნდა განხორციელდეს 2 სამუშაო დღეში; მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის 3.3 პუნქტის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლობა, წარმოადგენს ხელშეკრულების პირობათა არსებით დარღვევას, რომლის საფუძველზე შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება;

3.4. მხარეები პერიოდულად განიხილავენ სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკის შესრულების საკითხებს და დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

3.5.ხელშეკრულების შესრულების მთელ პერიოდში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმების განუხრელი შესრულება;

3.6. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში აღიარებულ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ ჩაიბაროს ჩატარებული სამუშაოები;

3.7. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან და სამუშაოების წარმოების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენებისაგან;
3.8. მიმწოდებელი ვალდებულია აღადგინოს სამუშაოების წარმოების პროცესში მისი მიზეზით დაზიანებული ინფრასტრუქტურა;
3.9. მიმწოდებელი ვალდებულია აანაზღაუროს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მის მიერ მოხმარებული კომუნალური მომსახურების საფასური;

**4. შესასრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადა**

შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადების შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების დანართს და შესაბამისად მის განუყოფელ ნაწილს.

1. შენობის შიდა მოპირკეთება 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. ფასადის და სარინელის სამუშაოები 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. სამღებრო სამუშაოები 3 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. სანტექნიკა და ელექტრობა 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
5. გათბობის სისტემა 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. საქვაბე მეურნეობის აგრეგატები 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
7. იატაკი 15 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
8. სხვა დანარჩენი 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

**5. მოთხოვნა პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ.**

5.1. მონაწილე პრეტენდენტს უნდა ქონდეს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების არა ნაკლებ 3 წლიანი გამოცდილება და არანაკლებ 700000 ლარის ბრუნვა. აღნიშნულის დასტურად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
5.2. აღნიშნულის თაობაზე პრეტენდენტმა ასევე უნდა წარმოადგინოს დამკვეთის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილ(ებ)ი. სარეკომენდაციო წერილ(ებ)ში მითითებული უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმების თარიღი, შესრულებული სამუშაოების ღირებულება, შესყიდვის ობიექტის დასახელება, მიწოდების ვადა, რამდენად ხარისხიანად და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში უზრუნველყო მიმწოდებელმა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

**6. მოთხოვნა პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ**

6.1. პრეტენდენტმა ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების უზრუნველსაყოფად უნდა გამოყოს პროექტის ხელმძღვანელი, რომელსაც წარმატებით აქვს განხორციელებული არანაკლებ ორი მსგავსი პროექტი (იგულისხმება შენობის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები). პროექტის ხელმძღვანელის გამოცდილების დასადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მონაცემები თანდართული ფაილის (პროექტის ხელმძღვანელი) შესაბამისად და პრეტენდენტის წერილობითი დადასტურება, რომ იგი უხელმძღვანელებს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებას;

7. მოთხოვნა სამუშაოს სამუშაოს შესრულების ვადებთან დაკავშირებით.(გეგმა-გრაფიკი)

7.1.პრეტენდენტი ვალდებულია, სამუშაოების შესრულების მონიტორინგის მიზნით, თანდართული ფაილის (კალენდარული გეგმები) შესაბამისად, წარმოადგინოს სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წინამდებარე ტენდერის ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ სამუშაოების დასრულების ვადებს.

8. მოთხოვნა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი.

8.1. პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

9.ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

9.1. ა) მოითხოვება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტია. გარანტია წარმოდგენილ უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან. ხელშეკრულების ღირებულების 10 % ოდენობით.

ბ) ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

გ) ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

10. ანგარიშსწორების პირობები.

10.1. შესაძლებელია განხორციელდეს საავანსო ანგარიშსწორება 30 %-ის ოდენობით, მიმწოდებლის მიერ შესაბამის თანხაზე წარმოდგენილი უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის შემთხვევაში.
10.2. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება სამუშაოთა დასრულების შემდეგ. რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ფორმა2, ფორმა3, ანგარიშ-ფაქტურა ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულებით დღგ-ს გათვალისწინებით.
10.2. შესრულებულ სამუშაოზე საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება, სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.
10.3. თუ საბოლოო ანგარიშსწორების მომენტისთვის, მიმწოდებელი არ წარმოადგენს დოკუმენტურ დასტურს, რომ ხელშეკრულების 5.9. და 5.10. პუნქტებით გათვალისწინებულ გარემოებებს ადგილი არ ჰქონია, ან ან ყველა ხარჯი ანაზღაურებულია, შემსყიდველი უფლებამოსილია გამოქვითოს, შესაბამისი ხარჯები ასანაზღაურებელი თანხიდან. (იხ. ხელშეკრულების პროექტი).

11. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა.

11.1. სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში, მოითხოვება ხელშეკრულების უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტია სახელშეკრულებო თანხის 20% -ს ოდენობით.

## 12. პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) რეკვიზიტები.

ბ) შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა დეფექტური აქტის მიხედვით, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული Excel ფორმატში.

გ) სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი სატენდერო დოკუმენტაციის თანდართული ცხრილის შესაბამისად.

დ) ინფორმაცია პროექტის ხელმძღვანელის შესახებ, სატენდერო დოკუმენტაციის 6 პუნქტის შესაბამისად.

ე) ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადების თაობაზე. (საგარანტიო ვადის განმავლობაში, მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტის/ნაკლის აღმოფხვრა, შეკეთება ან შეცვლა.)

ვ) დამკვეთის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილ(ებ)ი.

ზ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

თ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

## 13. დამატებითი ინფორმაცია:

13.1. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

13.2. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში დაუშვებელია დეფექტური აქტით განსაზღვრული სამუშაოების დასახელების, განზომილებისა და რაოდენობების ცვლილება.

13.3. დეფექტურ აქტში გაუთვალიწინებელი ხარჯებისათვის განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის შეცვლა დაუშვებელია.

13.4. პრეტენდენტმა ხარჯთაღრიცხვა უნდა შეადგინოს და მასში მოცემული პუნქტები განაფასოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N11/251 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლოს სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ’’ და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტექნიკური რეგლამენტის ,,სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის’’ შესაბამისად. ერთნაირი დასახელების სამუშაოზე გათვალისწინებული უნდა იყოს ერთნაირი ფასი.

13.5. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 15.02. 2019. 12:00 სთ.

სატენდერო წინადადება წარმოდგენილ იქნას დალუქულ კონვერტში მისამართზე: თბილისი ბეჟანიშვილის შესახვევი #8. მცირე საოჯახო სახლი.

საკონტაქტო პირი ლალი ცერცვაძე.

ტელ: 574 557 554; lalicercvadze@gmai.com

**14. სატენდერო წინადადებების შეჩევა, პრეტენდენტთა დისკვალიფიკაცია**

14.1. სატენდერო წინადადებები გაიხსნება მათი მიღების ვადის დასრულების შემდეგ კომისიის სხდომაზე.

14.2. კონვერტების გახსნის შემდეგ ხდება სატენდერო წინადადებების შერჩევა.

შერჩევის პროცედურის დროს მოწმდება:

ა) სრულად არის თუ არა წარმოდგენილი ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი;

ბ) ყველა დოკუმენტი არის თუ არა შედგენილი შესაბამისი ფორმების დაცვით. (ოფლებამოსილი პირის ხელმოწერა, საჭიროების შემთხვევაში ბეჭდით დამოწმება,თარიღი და სხვა).

გ)შესაბამება თუ არა სატენდერო წინადადება სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს და ვადებს.

14.2. სატენდერო წინადადებაში აღმოჩენილი მექანიკური, არითმეტიკული შეცდომების შემთხვევაში, შემსყიდველი ელ.ფოსტის მეშვეობით აცნობებს პრეტენდენტს აღნიშნულის თაობაზე და სთავაზობს შეცდომის გასწორებას 1 კალენდარული დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში პრეტენდენტს შეეფარდება დისკვალიფიკაცია.

14.3. კომისია უფლებამოსილია მოახდინოს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია შემდეგ შემთხვევებში:

ა) პრეტენდენტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია.

ბ) სატენდერო წინადადება ხელმოუწერილია, ან ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დადგენა შეუძლებელია.

გ) სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დ) თუ ადგილი ექნება პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერ ქმედებას: წარმოდგენილი მონაცემები ან/და დოკუმენტები აღმოჩნდება ყალბი, ეცდება კომისიაზე ზემოქმედებას გამარჯვებული გამოვლენასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაზე.

**15. გამარჯვებული გამოვლენა. ხელშეკრულების გაფორმება.**

15.1. სატენდერო წინადადებების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველი გამოავლენს ტენდერში გამარჯვებულს და აცნობებს გამარჯვებულ პრეტენდენტს ამის თაობაზე.

15.2. ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინოს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. საბანკო გარანტის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

15.3. თუ ტენდერში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, გამარჯვებულ პრეტენდენტს მოეთხოვება 20%-ის ოდენობის უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტის წარმოდგენა.

15.4. ხელშკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტია გამოიყენება მიმწოდებლის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო შესაბამისი პირგასამტეხლოს, საჯარიმო სანქციების, ან/და ზიანის ანაზღაურების მიზნით.

15.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს საბანკო გარანტია 10 დღის განმავლობაში.

15.6. მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების Sეწყვეტისას, შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს საბანკო გარანტია 10 დღის განმავლობაში.

**ხელშეკრულების პროექტი**
**(კონკრეტული პირობები დაზუსტდება სატენდერო წინადადების შინაარსის გათვალისწინებით)**
**ხელშეკრულება სამუშაოების შესყიდვაზე N**

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო _____________ 2019 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ „დივაინ ჩაილდ ფაუნდეიშენ ოფ ჯორჯია" სა(შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ ________________(შემდგომში "მიმწოდებელი") შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე: შემსყიდველმა ---------- 2019წ გამოაცხადა ტენდერი და მიიღო მიმწოდებლისგან სატენდერო წინადადება სამუშაოს შესრულებაზე შემდეგ თანხაზე:----------- დღგ-ს გათვალისწინებით.

**1. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:**

1.1. ორივე მხარის წარმომადგენელი სრულად გაეცნო ხელშეკრულებას და ეთანხმება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ყველა პირობას.

1.1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
1.2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება;
გ) ხარჯთაღრიცხვა;
დ) სამუშაოების შესრულების გეგმა- გრაფიკი;
ე) ინფორმაცია პროექტის ხელმძღვანელის შესახებ;
ვ) ინფორმაცია საგარანტიო ვადების შესახებ;
ზ) ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით 2019 წ------ გაცემული საბანკო გარანტია.
1.3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
1.4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
1.5. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.
1.6. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის ათვლა იწყება:
1.7. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება უზრუნველყოს ხელშკრულების გაფორმებიდან 60კალენდარულ დღეში, 2019წ ---------ჩათვლით.

**2. გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
2.1 ,,ხელშეკრულება სამუშაოების შესყიდვის შესახებ' '(შემდგომში _ ,,ხელშეკრულება'') _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
2.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება'' ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
2.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია,, (შემდგომში ,,შემსყიდველი'') ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.4 ,,მიმწოდებელი'' ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
2.5 ,,დღე'', ,,კვირა'', ,,თვე'' ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

### 3. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

3.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

3.2თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

3.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირების ჯგუფის ან/და ტექნიკური ზედამხედველის მიერ.
4.2. მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება პერიოდულად შემსყიდველის შეხედულებისამებრ.
4.3. მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით.
4.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
4.5. შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები.
4.6. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში და საერთაშორისო მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები.

### 5. სამუშაოს შესრულების პირობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაოები, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.
5.2.პროექტის ხელმძღვანელი, რომელიც განსაზღვრულია სატენდერო წინადადებაში მიმწოდებლის მიერ, უზრუნველყოფს სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკის და ხარისხის მოთხოვნების შესრულებას.
5.3. თუ მიმწოდებელი სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკს არღვევს უწყვეტად ერთი კვირის მანძილზე, ან შემსყიდველის მოთხოვნის მიუხედავად, პროექტის ხელმძღვანელი ობიექტზე არ ცხადდება უწყვეტად 2 კალენდარული დღის მანძილზე, შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს პროექტის ხელმძღვანელის შეცვლა, რაც უნდა განხორციელდეს 2 სამუშაო დღის ვადაში.
5.4. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის 5.3. პუნქტი მოთხოვნათა გაუთვალისწინებლობა, წარმოადგენს ხელშეკრულების პირობათა არსებით დარღვევას, რის საფუძველზეც შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.
5.5. მხარეები პერიოდულად განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.
5.6. ხელშეკრულების შესრულების მთელ პერიოდში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმების განუხრელი დაცვა.

5.7. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოთა შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში აღიარებულ სტანდარტებს და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ ცაიბაროს ჩატარებული სამუშაოები.
5.8. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისგან და სამუშაოების წარმოების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენებსგან.
5.9. მიმწოდებელი ვალდებულია აღადგინოს სამუშაოების წარმოების პროცესში მის მიერ დაზიანებული ინფრასტრუქტურა.
5.10. მიმწოდებელი ვალდებულია აანაზრაუროს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მის მიერ მოხმარებული კომუნალური მომსახურების საფასური.

**6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება და შემოწმება ხდება გაწეული სამუშაოების შესრულების ადგილზე.
6.3. შემსყიდველის მხრიდან სამუშაოს შესრულების აქტზე (ფორმა№2 და ფორმა №3) ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს.
6.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის (ეტაპის) დაწუნების მიზეზის მითითებით.
6.5. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, არაუგვიანეს 5 კალენდარულ დღეში. ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების 10.3. პუნქტით დადგენილი პირობის შესაბამისად.

**7. გარანტია**

7.1. ექსპლოატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს ხარისხზე მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომელიც მოცემულია ხელშეკრულების შესაბამის დანართში.
7.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. გარანტია არ ვრცელდება მექანიკურ დაზიანებებზე.

**8. ანგარიშსწორება**

8.1. საავანსო ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში, ავანსი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, სახელშეკრულებო ღირებულების 30%-ის ოდენობით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო დაწესებულების მიერ შესაბამის თანხაზე გაცემული უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში. გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. გარანტია წარმოდგენილ უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში-ლარში.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ავანსი, საავანსო თანხის საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. დარჩენილი ღირებულების გადახდა მოხდება ამ მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ავანსად მიღებული თანხის სრულად გამოქვითვის შემდეგ.

მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ჯამური (დამატებითი ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება. თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება ნაკლებია ხელშეკრულების ღირებულებაზე, ასეთ შემთხვევაში არ წარმოიშობა ხელშეკრულების ღირებულების სრულად გადახდის ვალდებულება.
8.2. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ანგარიშ-ფაქტურა.
8.3. შემსყიდველი საბოლოო ანგარიშსწორებას განახორციელებს მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის გაფორმების (მიღება-ჩაბარების აქტი ფორმა№2 და ფორმა№3) და დამატებითი ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

8.48.5. თუ საბოლოო ანგარიშსწორების მომენტიშთვის მიმწოდებელი არ წარმოადგებს დოკუმენტურ დასტურს, რომ ამ ხელშეკრულების 5.9. და 5.10. პუნქტებით გათვალისწინებულ გარემოებებს ადგილი არ ქონია, ან ყველა ხარჯი ანაზღაურებულია, შემსყიდველი უფლებამოსილია გამოქვითოს შესაბამისი ხარჯები ასანაზღაურებელი თანხიდან.

## 9. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

9.1ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემულ უპირობო გამოუთხოვად საბანკო გარანტიას, სახელშეკრულებო ღირებულების 10 %-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
9.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო.
9.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი იყენებს გარანტიას, მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობების ამ მუხლში.
10.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის მიწოდების პირობებს ვერ შეასრულებს (ვადა, ხარისხი), ან/და დაარღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს, შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისთვის შეწყვიტოს ხელშეკრულება.
ბ)სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, ხარვეზის აღმოფხვრის, ნაკლის გამოსწორებისთვის განესაზღვრება ერთი კვირის ვადა. ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლო ხელშეკრულები საერთო ღირებულების **0.10%**-ის ოდენობით.
გ) თუ პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების **10%**-ს და იგი ვერ განახორციელებს შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდებას ან/და აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორებას, შემსყიდველი შეწყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას.
დ) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში , მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.
ე). შემსყიდველს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
ვ). თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და გამოითხოვოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია.
10.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დარჩენილი ვალდებულებების შესრულებისგან.
10.6 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.7 ამ მუხლის 12.6 პუნქტში მითითებული რომელიმე გარემოებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს
მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.
10.8. ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც უკავშირდება შესასრულებელ სამუშაოთა დაგეგმილ ვადაში შესრულებას და არ იფარება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიითა და პირგასამტეხლოს თანხით.

**11. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

**12. გამოყენებული სამართალი**

12.1. ხელშეკრულება დადებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**13. ხელშეკრულების ენა**

13.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

**14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს ვალდებულებების შესრულების ვადის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის ჩათვლით. (ხელშეკრულების მოქმედების ვადა დაკონკრეტდება ხელშეკრულების გაფორმების დროს).

**მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები:**

შემსყიდველი: მიმწოდებელი:

(ხელმოწერა) (ხელმოწერა)